ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ინსტიტუტის მიზანია ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემების, უმწერლობო ქართველური ენების (მეგრული, ლაზური, სვანური), ქართული ენის დიალექტების შესწავლა სტრუქტურულ-სემანტიკური, ფუნქციურ-სტილისტური თვალსაზრისით; ასევე, ძველი და საშუალი ქართული ენის წერილობითი ძეგლების დოკუმენტირება და კვლევა ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური და ლინგვისტური კუთხით; ლინგვისტური ექსპედიციების მოწყობა - მუშაობა ველზე უმწერლობო ქართველური ენების, ქართული ენის დიალექტური მასალის, ძველი და საშუალი ქართულის წერილობითი წყაროების შესაკრებად; მოპოვებული სინქრონიული ვითარების ამსახველი ემპირიული მასალის დამუშავება და ჩართვა საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევაში; შუა საუკუნეების ქართული თარგმანების (უპირატესად, ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული ვერსიების) ტექსტოლოგიური და ენობრივ-სტილისტური კუთხით კვლევა და კვლევის შედეგების ასახვა საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამებში, კერძოდ: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო, ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო, შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო და ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამებში (ქვედრაგები: ქართველური ენათმეცნიერება და ბიბლიის ფილოლოგია).

ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების მიმართულებანი ინსტიტუტში შემავალი სამეცნიერო ერთეულების მიხედვით განისაზღვრება.

- ქართველური ენათმეცნიერების კათედრა შეისწავლის:
  - თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას;
  - თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების საკითხებს;
  - ქართული ენის სტილისტიკას;
  - ქართული ენის დიალექტებს;
  - ქართულის როგორც მეორე ენის სწავლების საკითხებს;
  - უმწერლობო ქართველურ ენებს: მეგრულს, ლაზურს, სვანურს.

- ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრა შეისწავლის:
  - ძველ ქართულ ენას;
  - ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებს;
  - ქართული პალეოგრაფიისა და კოდიკოლოგიის საკითხებს;
  - ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებს ტექსტოლოგიური და ლინგვისტურ-ფილოლოგიური თვალსაზრისით.
- ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი შეისწავლის ქართული და სხვა უმწერლობო ქართველური ენების ონომასტიკას (ტოპონიმებს, ჰიდრონიმებს, ანთროპონიმებს და სხვ.)

ძველ ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ორიონი“ შეისწავლის ძველ ქართულ ხელნაწერებს (უმთავრესად საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ხელნაწერთსაცავებში დაცულ მანუსკრიპტებს) და გამოსაცემად ამზადებს მათ.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

The Georgian Language of the Faculty of Humanities of Tbilisi State University

The aim of the Institute is to study the data of Old and New Georgian literary language, non-written Kartvelian languages (Megrelian, Laz, Svan) and the dialects of the Georgian language from the structural-semantic and functional-stylistic viewpoints; documenting of the literary monuments of the Old and Middle Georgian and their analysis from the viewpoints of textology-philology and linguistics; organization of linguistic expeditions – field work with the aim of collecting the data of non-written Kartvelian languages, dialects of the Georgian language, as well as Old and Middle Georgian written sources; analysis of the obtained empirical material reflecting the synchronic situation, inclusion of this material into the University curricula and scientific research; research of Georgian translations made in the Middle Ages (mostly old Georgian versions of the Biblical books) from the textological and linguistic-stylistic viewpoints, inclusion of the research outcomes in the educational programs of the University, namely: BA course in Georgian philology, MA program in Kartvelian linguistics, MA course in medieval Christian oriental philology and doctoral program in Georgian philology (sub-fields: Kartvelian linguistics and Biblical philology).

The research directions of the Institute are defined based on the scientific units that form part of the Institute.

- The Chair of Kartvelian Linguistics studies the following:
  - Contemporary Georgian literary language;
  - The norms of the contemporary Georgian literary language;
  - Stylistics of the Georgian language;
  - The dialects of the Georgian language;
  - Issues related to the teaching of Georgian as a second language;
  - Non-written Kartvelian languages: Megrelian, Laz and Svan.
- The Chair of Old Georgian Language and Textological Research studies the following:
  - Old Georgian language;
  - Issues of the history of literary Georgian language;
  - Issues of Georgian paleography and codicology;
  - Old Georgian written monuments, from textological and linguistic-philological viewpoints.
- The Scientific Research Centre of Kartvelian Onomastics studies the onomastics (toponyms, hydronyms, anthroponyms etc.) of Georgian and non-written Kartvelian languages.

„Orioni" - Scientific-Research Centre of Old Georgian Manuscripts - studies old Georgian manuscripts (mostly those preserved outside the borders of Georgia) and prepares these manuscripts for publication.